ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 14-59

"25" ივლისი 2017 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბერის №17-49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბერის N17-49 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 16/12/2014, სარეგისტრაციო კოდი: 210020010.35.101.016045) და:

1. დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე–10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებისთვის 2017 წლის 1 ივნისის მდგომარეობით არსებული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება უნდა შესრულდეს ამ ინსტრუქციის მე–7 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, დაინტერესებული პირის წერილობით განცხადების საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასთან დადებული შეთანხმებით განსაზღვრული გადახდის გრაფიკის თანახმად, შესაბამისი შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2020 წლის 1 იანვრისა. აღნიშნული არ ვრცელდება მე–11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებზე."

2. დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-15 პუნქტი:

„15. მოსაკრებლის გადამხდელის მიერ ამ დადგენილების მე-10 პუნქტში აღნიშნული შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში იმავე პუნქტის შესაბამისად დადებული შეთანხმება გაუქმდება და მოსაკრებლის გადამხდელი ვალდებულია გადაიხადოს მოსაკრებელი შეთანხმების გაუქმებიდან 1 თვის ვადაში."

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბერის №17-49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების შესახებ

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბერის №17-49 დადგენილებით დამტკიცებული იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქცია, რომელიც ერთ-ერთ პუნქტად განსაზღვრავს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებისთვის 2016 წლის 1 იანვრამდე გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებლის გადახდას.

„ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 2017 წლის 28 ივნისის საქართველოს კანონით ,,ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) 17^2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომელიც ითვალისწინებს, რომ მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანო (ხოლო ქ. თბილისში - ქ. თბილისის მთავრობა) უფლებამოსილია სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადამხდელთან, რომელსაც ამ კანონის ძალაში შესვლის დროისათვის ეკისრება მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება, წერილობითი განცხადების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებამდე მოსაკრებლის გადახდის განწილვადების შესახებ, თუ შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე განცხადება უფლებამოსილ ორგანოში წარდგენილი იქნება 2020 წლის 1 იანვრამდე და შენობა-ნაგებობა დააკმაყოფილებს ექსპლუატაციაში მიღებისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს გადასახადის გადამხდელის ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულების ვადის გადაწევას 2020 წლის 1 იანვრამდე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ხანგრძლივი დროის მანძილზე, არაერთი დაუმთავრებელი მშენებლობის არსებობა, დროსთან ერთად, საფრთხის შემცველი გახდა საზოგადოებისათვის (სანიტარული თუ უსაფრთხოების ნორმების დარღვევის თვალსაზრისით). თითოეული სამშენებლო ობიექტის მშენებლობის შეჩერების მიზეზი სხვადასხვაა. უმრავლეს შემთხვევაში, მშენებლობის განმახორციელებელ სუბიექტებს მშენებლობისას წარმოეშვათ სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება, რაც ართულებს მშენებლობის დასრულებას. დედაქალაქში მიმდინარე მშენებლობების დასრულების შემაფერხებელი გარემოებებიდან ერთ-ერთ მწვავე პრობლემად დგას მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გაზრდისას კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისათვის დაწესებული მოსაკრებლის გადაუხდელობის საკითხი, რისთვისაც კანონმდებლობით დარეგულირდა მოსაკრებლის გადახდის განწილვადების საკითხი, კერძოდ, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის

გადავადებას ითვალისწინებდა „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის 17² მუხლი, რომელიც, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 2017 წლის 28 ივნისის საქართველოს კანონის მიღებამდე ვეღარ არეგულირებდა შესაბამის სამართალურთიერთობებს მოქმედების ვადის ამოწურვის გამო, რადგან იგი ითვალისწინებდა მოსაკრებლის გადამხდელის ვალდებულას, არაუგვიანეს 2016 წლის 1 იანვრისა განცხადების წარდგენის ვალდებულებას უფლებამოსილი ორგანოსათვის, შენობა-ნაგებობის მდგომარეობის, მისი ექსპლუატაციაში მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროექტის მიღების მიზეზია, ზემოაღნიშნული კანონის დანაწესის პრაქტიკაში აღსრულებისათვის შესაბამისი რეგულაციების დადგენა, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მშენებლობების დასრულებისათვის მოქნილი საშეღავათო მექანიზმების არარსებობა.

პროექტის მიღებით შეიქმნება გადასახდელი მოსაკრებლის განწილვადების შესაძლებლობა, რაც ხელს შეუწყობს მშენებლობის განმახორციელებელი სუბიექტებისათვის ფინანსური ტვირთის შემსუბუქებას, იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს როგორც ადგილობრივ ბიუჯეტს, ასევე მესამე პირების ინტერესებს.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის ოდენობა 2012-2014 წლებში შეადგენს: გადასახდელი თანხა 60,595,131, დავალიანება 22,860,515ლარი, ხოლო 2015-2017 წლებში: გადასახდელი თანხა 33,594,405, დავალიანება 23,776,771 ლარი. საშეღავათო მექანიზმების დადგენა ხელს შეუწყობს დაინტერესებული პირების მხრიდან ვალდებულების შესრულებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმართ.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები):

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.